დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ახალი ქართულ გიმნაზია

შეფასების თარიღ(ებ)ი
7-8 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
30.06.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ახალი ქართული გიმნაზია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	(ს/კ 200036497

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. თბილისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, კლდიაშვილის ქ. N15
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N20
საფოსტო ინდექსი	0167
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://ngg.edupage.org/
დაწესებულების ელ-ფოსტა	newgeorgiangymnasium@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	591 41 51 11; 032 2652667
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	მარინე არაბული
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	577 243 770; 558 770 703 / 577 44 56 39
ელ-ფოსტა	newgeorgiangymnasium@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 27 მაისის MES 6 22 0000550115 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ახალ ქართულ გიმნაზიაში ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	07-08 ივნისი, 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	ნინო მჭედლიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით			
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის –	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები			
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს ახალ ქართულ გიმნაზიაში, რომელსაც 22 წლიანი ისტორია აქვს, ფუნქციონირებს ქართული და რუსული სექტორი. სკოლაში 10 ეროვნების მოსწავლე (ქართველი- 76%, აზერბაიჯანელი - 2.5%, იეზიდი-2%, თურქი-0.4%, თურქმენი-1.5%, ოსი-0.8%, რუსი-6.6%, სომეხი-7.5%, უკრაინელი-2%, ჩეჩენი-0.4%) განურჩევლად ეროვნებისა და აღმსარებლობისა, უსაფრთხო, მეგობრულ და ოჯახურ გარემოში სწავლობს. შპს „ახალი ქართული გიმნაზიას“ დაწყებული აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებს აქტიურად უტარდებათ ტრენინგები კურიკულუმის, მატრიცებისა და შემაჯამებელი დავალების შემუშავებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების მისია	**მისია** უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვან გარემოში, უზრუნველვყოთ მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება; ხელი შევუწყოთ პატრიოტული ცნობიერების, მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი, ინტელექტუალურად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას და მოვამზადოთ ისინი აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის“ **სკოლის ხედვაა** „შევქმნათ ისეთი სკოლა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს სრულფასოვნად გამოავლინონ და განავითარონ საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობები, ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით აიმაღლონ ინტელექტი, ჩამოუყალიბდეთ პატრიოტულ და დემოკრატიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებები და ჯანსაღი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ - ჩვევები“. **სკოლის ღირებულებები** თანასწორობა, სამართლიანობა, პატივისცემა, თანამშრომლობა, პროფესიონალიზმი, ტოლერანტობა, პატრიოტიზმი, პასუხისმგებლობა, ემპათია.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**არ გაცემულა**

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 370	☒	*მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ახალი ქართული გიმნაზიის მიერ წამოდგენილი 2021-2022 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის დირექტორის ბრძანებით (N1-43 07.09.2021). ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისა და სასწავლო პროცესის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, 2020-2021 ს/წლის დასრულების შემდგომ მომზადდა წლიური ანგარიში, ამ ანგარიშზე დაყრდნობით გაკეთდა SWOT ანალიზი, რაც შემდგომ გახდა ახალი ს/წლის სასკოლო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გეგმისა და წლიური სამუშაო გეგმის შემუშავების საფუძველი. სასკოლო სასწავლო გეგმის მომზადების პარალელურად შემუშავდა სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგის გეგმა. დასაწყისში სკოლაში შეიქმნა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც გაეცნო სკოლის თანამშრომლებს, რეკომენდაციების და შენიშვნების მოწოდებისთვის. შემდგომ მოხდა მისი დამტკიცება, ს/წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. სასკოლო სასწავლო გეგმა საჯაროა და განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა კომპონენტს. ესენია: სწავლა-სწავლების მიზნები, საგანმანათლებლო პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება; სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტები; სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის გაცნობის წესები; სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი. სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტებია: • სასკოლო სასწავლო გეგმის მიღების წესი; • სკოლის მისია; • სასკოლო საათობრივი ბადე; • დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა; • საგანმანათლებლო რესურსები; • სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • ინკლუზიური განათლება; • სავალდებულო და არჩევითი საგნები; • სადამრიგებლო პროგრამა; 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე - I-XII და რუსულ ენაზე - I-X კლასებში. სკოლის პრიორიტეტია სახელმწიფო ენაზე მეტყველების განვითარება, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ „ახალი ქართული გიმნაზიის“ რუსულ სექტორზე სწავლობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები და მათ სკოლა შესაძლებლობას აძლევს, ასაკის შესაბამისად სრულყოფილად დაეუფლონ სახელმწიფო ენას. სკოლის სასწავლო კალენდარი, მათ შორის არდადეგები და ოფიციალური დასვენების დღეები სრულად ითვალისწინებს კანონით დადგენილ ნორმებს. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. თუმცა განსაზღვრულია ის შემთხვევებიც, როცა სკოლას შეუძლია გადავიდეს 6 დღიან სწავლებაზეც. მაგ: თუ სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას; გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები; ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაკვეთილის ხანგრძლივობაა ერთი საათი (I-IV კლასებში თითოეულ გაკვეთილზე ნახევარი საათის შემდეგ აქვთ 5 წუთიანი შესვენება). გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით დოკუმენტში არის ჩანაწერი, რის მიხედვითაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს (გაზარდოს ან შეამციროს) გაკვეთილების განრიგი მაგრამ, არანაკლებ 30 წუთამდე. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა ყველა კლასში არის 10 წუთი, ხოლო I-IV კლასებს დამატებით აქვთ ერთ საათიანი შესვენება. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია მაქსიმუმ 22 მოსწავლით. შპს „ახალ ქართული გიმნაზიას“ საათობრივი ბადე კანონმდებლობის დაცვით შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია დისტანციური სწავლების ორგანიზების საკითხებიც და შემუშავებულია შესაბამისი საათობრივი ბადე. 2021 წლის 04 ოქტომბრამდე სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სრულად ელექტრონულად, სინქრონულად საგაკვეთილო პროცესში ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით. სრულად დისტანციური სწავლების მოდელის შემთხვევაში სკოლა ხელმძღვანელობს - „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“- საქართველოს განათლების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მეცნიერების, მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის №95/ნ ბრძანებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეების და საგნების მიხედვით. სკოლამ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოიყენა მასწავლებლების მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და უზრუნველყო არჩეული სახელმძღვანელოების სიის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლის მასწავლებლები სწავლებისას დამხმარე სახით იყენებენ, ასევე დამატებით სასწავლო მასალას, რომელიც ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. დოკუმენტის თანახმად განსაზღვრულია, რომ დამხმარე მასალის შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს. სკოლამ 2021-2022 სასწავლო წელს შესთავაზა მოსწავლეებს: • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნები, რომლებზეც დასწრება სავალდებულოა კონკრეტული კლასების ყველა მოსწავლისათვის: რუსული ენა - I-IV კლასებში; ხაზვა - V-IX კლასებში; ჭადრაკი - I-VI კლასებში. • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამატებითი სავალდებულო საგნის სახით I-IV კლასებში: ა) ცეკვა - I-IV კლასებში; ბ) მეტყველება - I-IV კლასებში; გ) მედიაწიგნიერება III-VI კლასებში; შემუშავებულია პროგრამები, სადაც გაწერილია თითოეული დამატებითი საგნის სწავლების მიზნები, ამოცანები, ის ცოდნა და უნარები, რომელიც ყველა დონისთვის გათვალისწინებულია საგნებში. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე კლუბები: • სამოქალაქო კლუბი - „პუბლიკუსი“ - (V-XII კლასები)- მისი მიზანია მოსწავლეებს დაეხმაროს მომავალი წარმატებული ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში და ხელი შეუწყოს მათ ჩამოყალიბდნენ კარგ, აქტიურ მოქალაქეებად, აკეთონ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე და მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. სატელევიზიო ხელოვნების კლუბი - „TV ინკოგნიტო და გიმნაზია“ - (V-IX კლასები) - მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებაში, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების შეძენასა და რეალიზებაში, საკომუნიკაციო, შემოქმედებითი, ანალიტიკური ცოდნის განვითარებასა და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. ორივე კლუბი ნებაყოფლობით გაერთიანებას წარმოადგენს, დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, რაც დასტურდება, მათთან გასაუბრებითაც. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა. სასწავლო პროცესის დაწყებამდე სკოლაში ჩამოყალიბდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	22 სადამრიგებლო კლასი და თითოეული კლასისთვის შემუშავდა სადამრიგებლო პროგრამა, კლასის და სადამრიგებლო საათები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა 2021-2022; • მონიტორინგის შედეგები; • კლუბების დებულებები; • 2020-2021 სასწავლო წლის დირექტორის მოადგილის ანგარიში.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სამივე საფეხურზე, როგორც ქართულ ასევე რუსულ სექტორზე. შესაბამისად წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპები. საერთო სამივე საფეხურისთვის, არის ის, რომ სკოლა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე და მთავარ მიზნად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დასახული აქვს სკოლაში საერთო კულტურის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა. ამიტომ სასკოლო საზოგადოების ძირითად პრიორიტეტებად განსაზღვრულია: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება, სამოქალაქო უსაფრთხოება, კონფლიქტების მართვა, წიგნიერება, კულტურული მრავალფეროვნება, ადამიანის უფლებები. პედაგოგთა პორტფოლიოების გაცნობის შედეგებით და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, იცავენ თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას, ხელს უწყობენ სიღრმისეულ სწავლებას, კერძოდ, საგნის მასწავლებლები სასწავლო მასალას მოსწავლეებს აწვდიან ეტაპობრივად, ახალ საკითხებს და ცნებებს განიხილავენ საფუძვლიანად და მრავალფეროვან კონტექსტებში, ახდენენ საგანთაშორის კავშირს. იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთულ გაკვეთილებს, რაც მათ საშუალებას აძლევს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებია გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსების შერჩევის დროსაც და სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლა ბიუჯეტის ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რესურსებით, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებით (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა). რესურსები შერჩეულია სხვადასხვა კლასის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება ასევე, რომ სკოლა ცდილობს დანერგოს „ახალი სკოლის მოდელის“ მოთხოვნები. სკოლას დაწყებული აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება. დირექცია მუდმივად ახდენს დაკვირვებას ესგ-ს დანერგვის პროცესზე, იკვლევს მასწავლებელთა საჭიროებებს, გამოვლენილ სირთულეებს და რეგულარულად ახდენს მათ მეთოდურ დახმარებას. შპს „ახალი ქართული გიმნაზიაში“ არ არის შექმნილი საგნობრივი კათედრები. დირექტორის მოადგილე სწავლა-სწავლების დარგში ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ საგნობრივ ჯგუფთან და მისი მუშაობის შედეგები აისახება სემესტრულ ანგარიშში. სკოლაში საგნები დაჯგუფებულია შემდეგი პრინციპით: • ქართული ენა და ლიტერატურა/ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა ჯგუფი; • პირველი უცხოური ენა - ინგლისური ენის მასწავლებელთა ჯგუფი; • ეთნიკური უმცირესობის ენების - რუსულის და მეორე უცხოური ენა - რუსული/გერმანულის მასწავლებელთა ჯგუფი; • მათემატიკის/ტექნოლოგიების მასწავლებელთა ჯგუფი; • საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა ჯგუფი; • საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი; • ესთეტიკური აღზრდა/სპორტის მასწავლებელთა ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგნობრივ ჯგუფებთან დირექტორის მოადგილის მუშაობა ითვალისწინებს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების და დამხმარე რესურსის შერჩევა; საგნობრივი პროგრამების/კურიკულუმების (მატრიცების) შედგენა/დანერგვა; შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებების დანერგვა; სასკოლო პროექტების დაგეგმვა/განხორციელება; პროფესიული განვითრების კუთხით, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება; პროფესიული განვითრების კუთხით გაკვეთილებზე დასწრება და მისი ანალიზი; დიაგნოსტიკური კვლევების ორგანიზება; სასკოლო ოლიმპიადების დაგეგმვა/განხორციელება და ა.შ საგულისხმოა, რომ სკოლა ძალისხმევას არ იშურებს მოსწავლის საჭიროებების დასადგენად. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გახანგრძლივებული სწავლების ერთ-ერთი მიზანი, გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევისა, მოსწავლეთა მეტაკოგნიციის განვითარებისკენაა მიმართული. ყოველივე ეს სწავლა-სწავლების პროცესთან ერთად, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა 2021-2022; • მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგები; • მასწავლებელთა პორტფოლიოები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ახალი ქართული გიმნაზია, რომელიც ქართულ და რუსულ სექტორებს აერთიანებს სრულად უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მრავალეთნიკურია, რამდენადაც სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა კლასში ერთად სწავლობენ ქართველი, უკრაინელი და რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები. შესამჩნევია, რომ რუსული სექტორის მოსწავლეები ძალიან კარგად საუბრობენ ქართულად რაც მთლიანად სკოლის დამსახურებაა. სკოლის პრიორიტეტია სახელმწიფო ენაზე მეტყველების განვითარება, აქედან გამომდინარე, სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს, ქართული ენის (არაქართულენოვანი სექტორებისთვის) ხარისხიან შესწავლას და მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში უკრაინიდან ლტოლვილი 9 მოსწავლე სწავლობს. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, იცავს თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. სკოლაში სწავლა-სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეს განუვითაროს ისეთი გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ინიციატივების გამოვლენა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, კვლევა, ეთიკა, სწავლის სწავლა (დამოუკიდებლად საქმიანობა), პასუხისმგებლობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელიც სრულად მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭების მექანიზმებს, სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროების დასადგენად. მიუხედავად იმისა რომ სკოლაში ამ ეტაპამდე სსსმ მოსწავლე არ ჰყოლიათ, სასკოლო სასწავლო გეგმაში სრულყოფილად არის გაწერილი სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის წესი და ვადები, ინფორმაცია ისგ ჯგუფის შესახებ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების ეტაპები. გარდა ამისა, სკოლას აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი და შინ სწავლების ძირითად ასპექტები. წარმოდგენილი მექანიზმები და სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასევე სკოლაში დამკვიდრებული მეგობრული, თანამშრომლობითი, მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმა; • დირექტორის და მოადგილეების ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის მუშაობის შესახებ; • სკოლის საზოგადოებასთან ინტერვიუირების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, ასევე სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. მოსწავლე ფასდება სხვადასხვა ფორმით (ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.) და მან წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა: • სკოლაში ს/წლის დასაწყისში საგნის მასწავლებლები/საგნობრივი ჯგუფები შეიმუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, შეფასების რუბრიკებს და ს/წლის დაწყებისას კლასის დამრიგებლები აღნიშნულ ინფორმაციას აცნობენ საკუთარი კლასის მშობლებსა და მოსწავლეებს. • მოსწავლეთათვის ს/წლის დასაწყისშივე საკლასო ოთახში იკვრება საგნების/საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები, ასევე საგნების მიხედვით შემაჯამებელი დავალებების სემესტრული გრაფიკი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შემაჯამებელ დავალებებს თან ერთვის შეფასების რუბრიკები, რომელიც წინასწარ ცნობილია მოსწავლეთათვის. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. სკოლაში შემუშავებულია – „შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით“. შემუშავებულია ასევე „განმავითარებელი შეფასების ფორმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე“. რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს დააკვირდეს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, მოსწავლის სემესტრული ქულის გამოანგარიშება ხდება შემაჯამებელ დავალებაში მიღებული შეფასების მიხედვით. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში სემესტრების მიხედვით და გაცდენილი დავალების აღდგენის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი EDUPAGE, რომლის გამოყენებითაც მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს და უგზავნიან მშობლებს და მოსწავლეებს გასაცნობად. სემესტრის ბოლოს განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად ყველა მოსწავლეს ეძლევა განმავითარებელი შეფასებაც. შპს „ახალ ქართულ გიმნაზიას“ დაწყებული აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებს აქტიურად უტარდებათ ტრენინგები კურიკულუმის, მატრიცებისა და შემაჯამებელი დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემუშავებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი კურიკულუმები, მატრიცები. შესწავლილ იქნა ასევე კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორივე სექტორის თითქმის ყველა საგანში არის ჩატარებული. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რაც ასახულია სამოქმედო გეგმაშიც, რომ დაგეგმილია შემდგომი ტრენინგები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შემდგომ დახვეწას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმა; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის N 893326 წერილი შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით. • კურიკულუმები და შემაჯამებელ-კომპლექსური დავალებები ინტერვიუ დირექტორის მოადგილესთან და მასწავლებლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია). მშობელთან ურთიერთობის დებულების შემუშავების მიზნებია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა; • მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა; • მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობების და სხვა მიმდინარე მოვლენების თაობაზე; • მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე; • კეთილგანწყობილი, მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება; დოკუმენტის თანახმად სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება კრებებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით; თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს; მშობელთა კრებისათვის ყველა დამრიგებელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს. მშობელთა რიგგარეშე კრების მოწვევა აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია კლასის დამრიგებელს ან დირექტორს; საგნის მასწავლებელს დირექციასთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით უფლება აქვს გამოიძახოს მშობელი; მშობლებთან ურთიერთობის ფორმას თვით პედაგოგი და დამრიგებელი ირჩევს სიტუაციის შესაბამისად. ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა საშუალებით:. • სატელეფონო გასაუბრება; • ონლაინ ჩართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• SMS შეტყობინება; • ელექტრონული ფოსტით შეტყობინება; • ინდივიდუალური შეხვედრა; • ელექტრონული ჟურნალი; • მშობელთა კრება (მხოლოდ ზოგადი მიმოხილვა); • სოციალური ქსელის მეშვეობით (დახურულ ჯგუფში). სკოლას განსაზღვრული აქვს მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რაც გულისხმობს (სენდვიჩის მეთოდი) რომ მშობელთან ურთიერთობა (მიმოწერისას ან საუბრისას) მოსწავლის დადებითი მხარეების წარმოჩენით უნდა იწყებოდეს, რასაც შეიძლება სხვადასხვა სახის პრობლემების განხილვა მოჰყვეს. ასევე, მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს დაუშვებელია მოსწავლის პიროვნული ღირსებების შელახვა, უხეშობა. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად პოზიტიურიდან პრობლემისაკენ მიმართული. მშობლებთან გასაუბრებით დადასტურდა ყოველივე ზემოაღნიშნული. მათი განმარტებით ისინი ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობას იღებენ სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, აქტივობებში და გამოკითხვებში. დროულად იღებენ ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრების, დადებითი თუ გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია); • მშობლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტია, უზრუნველყოფს ჯგუფის ეფექტიან მუშაობას. მათ მიერ შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით (N1-91 21.12.2020) დამტკიცებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემა. დოკუმენტის გაცნობის და ჯგუფის წევრებთან გასაუბრების შედეგებით ირკვევა, რომ დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სკოლაში დანერგილია შეფასების ორი სისტემა: შიდა ხარისხის მართვის და გარე ხარისხის კონტროლის სისტემები, რომლებიც ეფუძნება ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ პარადიგმას ხარისხის მართვაში - ე.წ. PDCA მიდგომას. PDCA ციკლი დინამიური მოდელია და ამ მოდელის დანერგვა ნიშნავს - სკოლა ორიენტირებულია იმაზე, რომ დეტალურად დაგეგმოს საკუთარი სამუშაო - განსაზღვროს, საქმიანობის რომელი ასპექტები, სკოლის რომელი სტრუქტურები, რომელი პროგრამები რა თანამიმდევრობით, ვის მიერ და რომელი კრიტერიუმების მიხედვით იქნება განხორციელებული და შეფასებული. განახორციელოს დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით, შეამოწმოს/გაანალიზოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიღებული შედეგები, განსაზღვროს (რეაგირება) ნაკლოვანებების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში დასახოს არსებული შესაბამისი ვითარების შენარჩუნების მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი გეგმა და ჩატარებული მონიტორინგის ანალიზის ანგარიში. ანგარიში მოიცავს მონაცემებს, რომელიც 2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემეტრში, ნოემბერში განხორციელებულ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ონლაინ გამოკითხვის შედეგებს დაეყრდნო. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 100-მდე პირმა (მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა). კითხვების შინაარსი განსხვავებული იყო თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის. გამოკითხვის შედეგად მიღებული კვლევის შედეგები გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის სკოლის ვებგვერდის საშუალებით. სკოლის დირექციამ, სასკოლო პრიორიტეტების გათვალისწინებით და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით მოახდინა განხორციელებული მუშაობის ყველა მიმართულებით ინფორმაციის შეკრება, და ანალიზი. სკოლის მთავარი პრიორიტეტებია: • უსაფრთხო, ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა; • სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; • ადამიანური რესურსების განვითარება; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; • მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა; • ორგანიზაციული განვითარება. ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი სასკოლო სასწავლო პროცესის ყველა ასპექტი: მოსწავლეთა რაოდენობა რუსულ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ქართულ სექტორზე 2021-2022 სასწავლო წლისთვის, დოკუმენტაციის რევიზია, მასწავლებელთა სამუშაო გეგმები, კლუბების მუშაობა, მოსწავლეთა გაცდენები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და სხვა. სკოლამ წარმოადგინა ასევე 2020-2021 ს/წლის ანგარიშიც, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას მოიცავს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ გასულ ს/წელს, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დაიგეგმა და ჩატარდა გარკვეული ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისობის დადგენას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას სკოლის პედაგოგიური კოლექტივისათვის, მოსწავლეთათვის და მშობელთათვის, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნობრივი კურიკულუმის არსებობის შემოწმებას, შემაჯამებელი დავალებების გრაფიკის შემუშავებას, სადამრიგებლო პროგრამების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებას, ასევე არსებული რესურსების: საკლასო ოთახების, ბიბლიოთეკის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის და ინტერნეტის, საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის: სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობის შემოწმებას და მათი შესაბამისობის დადგენას სასკოლო სასწავლო გეგმასთან. დასკვნის სახით - სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმები მიმართულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემა; • მონიტორინგის გეგმა; • მასწავლებელთა კითხვარები; • მშობელთა კითხვარები; • მოსწავლეთა კითხვარები; • შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა კითხვარების შესახებ ანგარიში; • 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიში; • 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიში; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარესთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	არ გაცემულა
რჩევები:	არ გაცემულა
ხარვეზები:	არ დაფიქსირებულა
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 2005.00 კვ.მ. მიწის საერთო ფართი, 2000.73 კვ.მ.	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: 2000.73 კვ.მ. N1 შენობის საერთო ფართი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საჯარო რეესტრის ამონაწერის და ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს ახალი ქართული გიმნაზიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, კლდიაშვილის ქუჩა N15, ხოლო მისი ფაქტობრივი მისამართია - ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N20. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ არსებული ფართი შეიძინა 2011 წლის 22 ივლისს ნასყიდობის ხელშეკრულებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან. ხელშეკრულების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ის, რომ 20 წლის განმავლობაში, მყიდველმა უნდა უზრუნველყოს გადაცემული ქონების ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება. საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება ქონების ფლობა: შენობა - ნაგებობების ჩამონათვალი: N1 ფართით 2000.73 კვ.მ. (მათ შორის სასწავლო აუდიტორიების ფართობი - 1128.61 კვ.მ. დამხმარე ფართობი - 437.12 კვ.მ. მანსარდი -435 კვ.მ). 2005 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 476 კვ.მ. დატვირთულია სერვიტუტის უფლებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N20
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 01.11.12.017.107
კვ.მ.	1128.61 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • ნასყიდობის ხელშეკრულება; • შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ვიზუალური დათვალიერების და შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობის შედეგებზე დაყრდნობით დგინდება, რომ 34 საკლასო ოთახი აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სათანადო ინვენტარით, კერძოდ: 377 ინდივიდუალური მერხი, 400 სკამი, 32 სასკოლო დაფა, 27 კორპის დაფა, 6 მაგნიტის/მარკერის დაფა, 3 პროექტორი, 31 მონიტორი, 43 პროცესორი, 1 ლეპტოპი, 15 ტელევიზორი, 10 ქსეროქსი/პრინტერი, 9 მაგიდა ლაბორატორიისთვის, თვალსაჩინობები და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებები. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელშიც განთავსებულია როიალი, სამასაწავლებლო და რამდენიმე სივრცე დამატებითი მეცადინეობებისთვის. წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებს სასწავლო პროცესის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• კლასების ინვენტარიზაციის ცხრილი; • მატერიალური რესურსის ერთიანი ჩამონათვალის ცხრილი; • სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გამოყოფილია 2 სივრცე სპორტული აქტივობებისთვის: ახლად აშენებული სტანდარტული სპორტული დარბაზი და მცირე ზომის სპორტული ოთახი. სპორტულ დარბაზს აქვს გასახდელები და საშხაპეები გოგონებისა და ვაჟებისთვის. ვიზუალური დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით დასტურდება სხადასხვა სპორტული ინვენტარის ფლობა: შვედური კედელი, სპორტული ბაგირი, ფრენბურთის ბადე, მძლეოსნობის რგოლები, მინი ბატუტი, სავარჯიშო ლეიბები, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, ბადმინტონის ჩოგნები, ჭადრაკის დაფები, სტეპის დაფები და მრავალი სხვა. სპორტული დარბაზი და შესაბამისი ინვენტარი სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებული ლაბორატორიის სივრცეები, საბუნებისმეტყველი საგნებისთვის, სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმითა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული კომპეტენციების სათანადო დონის მიღწევის შესაძლებლობას. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ონკანი, გამწოვი და აღჭურვილია შესაბამისი ლაბორატორიული ინვენტარით, რომელიც განთავსებულია კარადებში. ლაბორატორიაში განთავსებულია მაგიდა სადემონსტრაციო ცდებისთვის, შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლას შეძენილი აქვს ვირტუალური ლაბორატორიები - I-VI კლასებისთვის: მათემატიკა, ბუნება, ქართული, მუსიკა, ხელოვნება და - ფიზიკის ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე მოწყობილ შესაბამის სივრცეში. ლაბორატორიაში არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი და მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები. სკოლამ წარმოადგინა რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია. • ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია; • სხვადასხვა წელს შეძენილი რეაქტივების დოკუმენტაცია; • სასაქონლო ზედნადებები; • მიღება-ჩაბარების აქტები; • შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლაში შექმნილია აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახი ნათელია და აქვს დიდი ფანჯრები. სკოლას აქვს ელექტროენერგიის და წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია გათბობის სისტემა, სველ წერტილებში გოგონებისა და ბიჭებისათვის დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები. სკოლის მეორე სართულზე სველი წერტილი ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კომუნალური გადახდების ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა პირველ სართულზეა განთავსებული და ფუნქციონირებს სამკითხველო დარბაზთან ერთად. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სამუშაო განრიგი, ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკას აქვს ანბანური და ელექტრონული კატალოგი. საინვენტარო წიგნის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკაში განთვსებულია 1082 წიგნადი ერთეული, რომელშიც შედის მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა, პერიოდიკა, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და პრინტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ახალ განათლებასთან“. ხელშეკრულების საგანია 2022 წლის ხელმოწერის შესყიდვა - წლის განმავლობაში პერიოდულად 40 ნომერი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი სასწავლო რესურსით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; • წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები; • საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი; • სასაქონლო ზედნადებები; • მიღება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ამ ეტაპამდე სკოლას არ ჰყოლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა გამოთქვამს მზაობას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სასწავლო გარემო შექმნას მისთვის. სკოლას აქვს მოძრავი პანდუსები, მეორე სართულზე დამონტაჟებულია ადაპტირებული სანიტარული კვანძი. რამდენადაც სკოლა 5 სართულიან შენობაშია განთავსებული და სსსმ პირის არსებობის შემთხვევაში სასურველია მას ჰქონდეს წვდომა ყველა აუდიტორიასთან, სკოლას მიეცა რჩევა ლიფტის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია; • მიღება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა საკლასო ოთახი, სასწავლო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები თუ დირექციის წარმომადგენლების კაბინეტები აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, რაც სრულად უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. სკოლის მფლობელობაშია: ინტერნეტში ჩართული 46 კომპიუტერი, 1 ლეპტოპი, 5 პრინტერი, 3 პროექტორი, 14 ტელევიზორი/მონიტორი. სკოლის ვებგვერდი www.ngg.edupage.org. ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია: ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შესახებ, სტრუქტურა, წესდება, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, სკოლის ანგარიშები, შინაგანაწესი, კლუბების ჩამონათვალი, 2021-2022 სასკოლო სასწავლო წლის გეგმა, სამოქმედო და სტრატეგილი გეგმები, სკოლის წესდება, ელექტრონული ჟურნალი, საკონტაქტო ველი. იგეგმება ვებგვერდის განახლება და ინფორმაციის დამატება ინგლისურ და რუსულ ენებზე. სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართია: newgeorgiangymnasium@gmail.com. საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ასევე სკოლის ფეისბუქ გვერდი - https://www.facebook.com/ngg.ge. დასკვნის სახით: სკოლა სრულფასოვნად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც დადასტურდა მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით,
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი www.ngg.edupage.org/; • ელექტრონული ფოსტა newgeorgiangymnasium@gmail.com • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. სკოლის ყველა სასწავლო სართულზე საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში დამონტაჟებულია 13 ცეცხლმაქრი. „ახალი ქართული გიმნაზიის“ დირექტორის ბრძანებით N1-11 21.02.2022 დამტკიცებულია სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლაში შექმნილია დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო შტაბი, რომელიც მიზნად ისახავს საგანგებო სიტუაციებში დროული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფას. შემუშავებულია ასევ სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია და 2021-2022 ს/წლის სამოქმედო გეგმა და წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში. სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). შენობა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით აღჭურვილია შესაბამისი საშუალებებით: სახანძრო სამაუწყებლო სირენა, საევაკუაციო მანათობელი მანიშნებლები, ავარიული განათება, სახანძრო პანელი, კვამლის აღმომჩენი დეტექტორები, გამაძლიერებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგანგებო მართვის გეგმა; • დირექტორის ბრძანება „საგანგებო შტაბის“ დამტკიცებასთან დაკავშირებით; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე სათანადო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. წესს ახლავს პირველადი დახმარების პროტოკოლი და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა არსებული ნორმატიული აქტი და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები. ინფრასტრუქტურის მხრივ კაბინეტში არის საკმარისი სივრცე პირთა მისაღებად და საჭირო ინვენტარის გამოსაყენებლად. კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით. კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ინვენტარით. სამედიცინო დახმარების კაბინეტში მდებარე მაცივარსა და კარადაში განლაგებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის საზოგადოებას სამედიცინო კუთხით ემსახურება სკოლის ექიმი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია სკოლის დებულებით. სხვა მოვალეობებთან ერთად იგი პერიოდულად მონიტორინგს უწევს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, გეგმავს და ატარებს პირადი ჰიგიენისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს. წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას, სამედიცინო დახმარების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამის წინადადებებს; სკოლაში ინფექციის გამოვლენის ან გავრცელების შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებთან ერთად ახორციელებს აუცილებელ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად გეგმავს და ხელს უწყობს ინფექციური დაავადებების პრევენციისადმი მიმართული ღონისძიებების განხორციელებას; უზრუნველყოფს კვების ბლოკში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლს; უზრუნველყოფს კომპეტენციის ფარგლებში სკოლის დირექტორის სხვა დავალებების შესრულებას. ექიმი აწარმოებს სკოლაში გაცემული სამედიცინო მომსახურების და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი; • ექიმის პირადი საქმე; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც დამტკიცებულია “ახალი ქართული გიმნაზიის“ დირექტორის მიერ ბრძანებით N1-17 04.06.2020 და შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (მინისტრის მოადგილის ეკატერინე დგებუაძის 2020 წლის 03 ივნისის MES 9 20 00430263 თანხმობის წერილი). წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ უსაფრთხოების მენეჯერი და დამრიგებლები. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ასევე უსაფრთხოების დაცვის სამსახურთან (შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი). მოსწავლეთა დაგვიანებებისა და გაკვეთილებზე დასწრების მონიტორინგის მიზნით, სკოლაში დამონტაჟდა ელექტრონული სისტემა, მოსწავლეებს დაურიგდათ საიდენტიფიკაციო ბარათები, მშობლებს მოსწავლის სკოლაში შემოსვლის და გასვლის დროს ეგზავნება მესიჯი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (მინისტრის მოადგილის ეკატერინე დგებუაძის 2020 წლის 03 ივნისის MES 9 20 00430263 თანხმობის წერილი).
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის კონტროლი ხორციელდება ვიდეოკამერებით. გარე პერიმეტრი კონტროლდება 3 კამერით, ხოლო შენობის შიდა ნაწილი 8 ვიდეოკამერით. კამერების გამოსახულება ხელმისაწვდომია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	2010 წლის 23 ივნისს შემუშავებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ახალი ქართული გიმნაზია“ წესდება, დირექტორის ბრძანებებით (1-49 01.09.2020) დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი, სკოლის დებულება (1-26 24.08.2020) საქმისწარმოების წესი (N1-33 01.09.2021), სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (N1-01 18.01.2021), მშობელთან ურთიერთობის წესი (N1-87 18.12.2020) და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის დებულებით განსაზღვრულია სკოლის მიზნები და ამოცანები, სკოლის სტრუქტურა და ყველა სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. სკოლის სტრუქტურული ერთეულებისათვის და მათი ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის დებულება. სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე. მასში დეტალურად არის წარმოდგენილი შრომითი ურთიერთობის წარმოშობის პირობები, სამუშაო და დასვენების დრო, შვებულების მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, საბოლოო ანგარიშსწორების, წახალისებისა და დისციპლინარული გადაცდომების წარმოების წესები და სახეები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის, მოსწავლის უფლება-მოვალეობების, სწავლის შედეგების შეფასებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის ეფექტურ მართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ახალი ქართული გიმნაზიის“ წესდება; • „ახალი ქართული გიმნაზიის“ შინაგანაწესი; • „ახალი ქართული გიმნაზიის“ დებულება; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ მიერ შემუშავებულია 2022-2028 სასწავლო წლების სკოლის განვითარების გრძელვადიანი და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. გეგმები შემუშავებულია შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N1-90 21.12.2020). მეთოდოლოგია შემუშავებულია წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით. მის მთავარ ორიენტირად განისაზღვრა მაქსიმალური ჩართულობა. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის მოკლევადიანი - ერთწლიანი და გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი; მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა; სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება; სამოქმედო გეგმის შემუშავება; შესრულების მონიტორინგი. წარმოდგენილი გეგმები ამ მეთოდოლოგიის და SWOT ანალიზის საფუძველზე არის შემუშავებული. ექვსწლიან გეგმაში გათვალისწინებულია სკოლის გასაუმჯობესებელი მხარეები. გეგმა მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებს: უსაფრთხო გარემოს შექმნა; სწავლა-სწავლების ხარისხი; მატერიალური რესურსის განახლება/გაუმჯობესება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მრავალფეროვანი გარემოს შექმნა და მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა/განვითარება; მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. გეგმით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, მათი მიღწევის შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების პერიოდი წლების მიხედვით. 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარეობს, უფრო დეტალურად აღწერს შესასრულებელ სამუშაოს. მასში დროშია გაწერილი სტრატეგიული მიზნები, დასახული ამოცანები, შესასრულებელი აქტივობები, მითითებულია პასუხისმგებელი პირები. შესრულების პერიოდი და შესრულების ინდიკატორები. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება/გაუმჯობესებას და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ახალი ქართული გიმნაზიის“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; • 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2028 სასწავლო წლების სკოლის განვითარების გრძელვადიანი გეგმა • SWOT ანალიზი
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დირექტორის ბრძანებით (N1-33 01.09.2021) დამტკიცებული შპს „ახლი ქართული გიმნაზიის“ საქმისწარმოების წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოების წესის თანახმად იწარმოება შემდეგი ჟურნალები: ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალები, ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ყველა ჟურნალი დანომრილია, აკინძულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახლი ქართული გიმნაზიის“ საქმისწარმოების წესი; • ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; • გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალები; • ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	არ გაცემულა
რჩევები:	არ გაცემულა
ხარვეზები:	არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სტრუქტურის, საშტატო განრიგის და არსებული მდგომარეობით (ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან) სკოლაში 43 თანამშრომელია. მათ შორის: **დირექცია:** დირექტორი, დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში, დირექტორის მოადგილე სწავლა/სწავლების დარგში, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში. **ადმინისტრაცია:** ადმინისტრაციული მენეჯერი, ფსიქოლოგი, ფსიქოლოგის ასისტენტი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, უსაფრთხოების მენეჯერი, ლოგოპედი. სტრუქტურის თანახმად სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს IT მენეჯერი, რომლის პოზიციაზეც გამოცხადებულია კონკურსი. **სკოლას ჰყავს 2 დამლაგებელი. დარაჯზე და მეეზოვეზე გამოცხადებულია კონკურსი.** **მასწავლებელი: 36** **ადმინისტრაციის 8 წარმომადგენელი ამავდროულად მასწავლებელია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილი ადამიანური რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან; • სკოლის სტრუქტურა;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**36**
მოწვეული/მაძიებელი	**2/2**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**0**
უფროსი მასწავლებლი	**26**
წამყვანი მასწავლებლი	**1**
მენტორის სტატუსი	
დამატებითი სავალდებულო საგნის მასწავლებელი	**4 + 1 (უსტატუსო მასწავლებელი პირობიანი ხელშეკრულებით).**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული 36 მასწავლებლიდან - 26 უფროსი, 2 მოწვეული, 2 მაძიებელი, 1 მენტორი, 4 დამატებითი სავალდებულო საგნის და 1 უსტატუსო (პირობიანი ხელშეკრულებით) მასწავლებელია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლებთან გასაუბრებით და პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ პოზიციას და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან; • მასწავლებელთა პირადი საქმეები; • მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესით (თავი 3. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა) განსაზღვრულია პედაგოგის/თანამშრომლის მიღების და ასევე განთავისუფლების (თავი 5. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/ საბოლოო ანგარიშსწორება) წესები, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი ყველა სავარაუდო შემთხვევა. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, დირექტორი უფლებამოსილია მოწვეული, შემცვლელი ან/და დამატებითი სავალდებულო საგნის მასწავლებლები დაასაქმოს სკოლაში კონკურსის გარეშე. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვაკანსიის შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს ღია კონკური. ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. შინაგანაწესით გაწერილია ასევე მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის კონკურსის ეტაპები, კერძოდ : კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა; შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება; კონკურსის შედეგების განსაზღვრა; შესაძლებელია სკოლის მიერ განისაზღვროს კონკურსის დამატებითი ეტაპი. სკოლაში შექმნილი საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ საათებზე შესულ განაცხადებას და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება სკოლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ჩანაწერი საკონკურსო კომისიის შესახებ სრულად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს (შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან - სკოლის თანამშრომლებისაგან და დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტისგან). თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა/მასწავლებლის მაძიებლისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, შესაძლებელია ასევე კონკურსის საფუძველზე. შინაგანაწესით გაწერილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ 48-ე მუხლის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია ასევე მასწავლებელთა და თანამშრომელთა წახალისების წესი (მუხლი 14. წახალისების გამოყენების წესი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დასაქმებულის წახალისების შესახებ (პრემია, მადლობის გამოცხადება) გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი, რომელიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში. შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და სკოლის ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია დოკუმენტი, უზრუნველყოფს წესების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის დირექციასთან, ადმინისტრაციასთან და დამხმარე პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა დებულება და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა ასევე პროფესიული განვითარების აქტივობების გეგმა 2021-2022 წლისთვის. გეგმაში მკაფიოდ არის გაწერილი აქტივობები, შემსრულებელი პირები, დაფინანსების წყაროები, ტრენინგების შინაარსი, სამიზნე ჯგუფები და შესრულების პერიოდი. გეგმის თანახმად ტრენინგები ჩატარდება ყველა მიმართულებით, როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე ადმინისტრაციის წრმომადგენლებისათვის. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშიდან, რომელიც 2020-2021 წლის პერიოდს მოიცავს, ირკვევა, რომ გასული სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასაწყისში, მიუხედავად დირექციის მხრიდან გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა, მასწავლებლებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესზე, უჭირდათ თემატური მატრიცების შინაარსის გაგება, შესაბამისი სამუშაობის დაგეგმვა, კომპლექსური შემაჯამებელი დავალებებისათვის შეფასების რუბრიკების შემუშავება. აღნიშნული საჭიროებების დადგენის შემდეგ, რეგულარულად ტარდებოდა ინდივიდუალურ შეხვედრები საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან. სამუშაო შეხვედრების პროცესში მათთან ერთად განხილულ იქნა საგნების კურიკულუმები, თემატური მატრიცების ფარგლებში აქტივობების დაგეგმვის ეტაპები, მასწავლებლებს რეკომენდაციები მიეცათ შეფასების რუბრიკების შემუშავებასა და მოსწავლეთათვის რეკომენდაციების მიცემის პროცესზე. საჭიროებების გამოკვეთის შედეგად ოქტომბერ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნომებრის თვეში საგნის მასწავლებლებისათვის დაიგეგმა, შემუშავდა მოდულები და ჩატარდა შიდა სასკოლო ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: • მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზნები და ამოცანების გაცნობა- საგნობრივი სტანდარტების განხილვა; • კომპლექსური დავალებების სპეციფიკა და მატრიცის ჩარჩო; • კომპლექსური დავალების შეფასების ძირითადი აქცენტები - განმავითარებელი კომენტარი (სოლოტაქსონომია); შპს „ახალი ქართულ გიმნაზიასა და შპს „N2-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მასწავლებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ტრენინგები ჩაუტარდათ საოფისე პროგრამების მიმართულებით. ასევე რამდენიმე მათგანმა გაიარა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტენინგები: • Golabz პროგრამის გამოყენება ფიზიკის სწავლებაში (20 საკონტაქტო საათი); • საბაზო-საშუალო საფეხურზე მათემატიკის სწავლების აქტუალური საკითხები (20 საათი); • ქართული ლიტერატურის სწავლების აქტუალური საკითხები (ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში) (20 საკონტაქტო საათი); • კომპიუტერული პროგრამის chemsketch-ის გამოყენება ქიმიაში (12 საკონტაქტო საათი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• წყაროების გამოყენება ისტორიის სწავლებისას (20 საკონტაქტო საათი) და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე მასწავლებლების ინტერვიუირების შედეგებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სერტიფიკატების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება ; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები; • შპს „ახალი ქართული გიმნაზიის“ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი; • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრების, წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტაციის და ანგარიშების შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. სკოლაში იგრძნობა თანამშრომლური, მეგობრული ატმოსფერო. მოსწავლეებმა ინტერვიუირების დროს განგვიცხადეს, რომ ისინი მეგობრობენ არა მხოლოდ კლასელებთან, არამედ სამივე საფეხურის, ორივე სექტორის მოსწავლეებთანაც. მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათ შვილებს ძალიან უყვართ სკოლა და მასწავლებლები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მათი განვითარებისათვის და მათი ნიჭის გამოვლენისათვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციაზე. საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორი უფინანსებს მათ ტრენინგებს. ისინი მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს და დირექციის წარმომადგენლებს საკუთარ მოსაზრებებს სასწავლო პროცესის შესახებ და ერთად იღებენ გადაწყვეყილებებს ამა თუ იმ აქტივობისა თუ ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ. მათ ერთი წინადადებით გამოხატეს თავის დამოკიდებულება სკოლის მიმართ - ეს ჩვენი ოჯახია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	არ გაცემულა
რჩევები:	არ გაცემულა
ხარვეზები:	არ დაფიქსირებულა
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 30.06.2022
გვერდების რაოდენობა: 62

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.